

ტრავმული მეხსიერება და პოსტ-9/11 ინგლისურენოვანი რომანი
(ფოერის, დელილოს და მაკივენის მიხედვით)

თამარ სუბელიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფირცხალავა, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ სუბელიანი

20.06.2016

აბსტრაქტი

2001 წლის 11 სექტემბრის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 231 რომანზე მეტი დაიწერა. ნაშრომი აქტუალურია იმით, რომ მასში წარმოჩენილია პოსტ-9/11 რომანში ასახული ტრავმული მეხსიერება, რაც სიახლეს წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

ნაშრომის მიზანია პოსტ- 9/11 ინგლისურენოვან რომანში პერსონაჟების მიერ ტრავმასთან გამკლავების გზებისა და წარსულთან დამოკიდებულების გამოკვლევა. განხილულია რომანები: ჯონათან საფრან ფოერის *უკიდურესად მქუხარე & დაუჯერებლად ახლო*, დონ დელილოს *კაცი, რომელიც ვარდება* და იენ მაკივენის *შაბათი*.

საკვლევ მეთოდად გამოყენებულია ალაიდა ასმანის ოთხი მოდელი ტრავმულ წარსულთან გასამკლავებლად. ასმანის მეთოდის პარალელურად, გამოყენებულია ლუდვიგ ვითგენშტაინის მოძღვრება და ფსიქოლოგების თეორიები ტრავმის ვერბალიზაციის საჭიროების შესახებ.

კვლევის შედეგად ვლინდება, რომ მას შემდეგ რაც ვერბალიზაციის მეშვეობით ხდება ტრავმასთან გამკლავება, ტრავმირებული დგება პირადი არჩევნის წინაშე, დაივიწყოს ან გაიხსენოს წარსული. მეტწილად ადამიანები, რომლებმაც დაძლიეს ტრავმა, ირჩევენ გზას, მომავლის სასარგებლოდ უარი თქვან წარსულზე.

სამიუბო სიტყვები: პოსტ-9/11 რომანი, 11 სექტემბერი, ტრავმული მეხსიერება, ინგლისური ლიტერატურა, ამერიკული ლიტერატურა, დავიწყება, გახსენება.

Abstract

At least 231 novels from around the world are written about September 11, 2001. This thesis is novelty for the Georgian scientific field, because it represents how the traumatic memories are expressed in post-9/11 novel.

The main topic of this thesis is to research how the characters of post-9/11 novel deal with their private traumatic experience and how they solve the problem of dealing with a traumatic past: forgetting or remembering.

Here is discussed the following novels: *Extremely Loud & Incredibly Close* by Jonathan Safran Foer, *Falling Man* by Don DeLillo and *Saturday* by Ian McEwan.

For research methodology, we have used Aleida Assmann's four models for dealing with the traumatic past, with the Ludwig Wittgenstein's doctrine and theories of psychologists about the need of verbalizing the traumatic past.

Research shows that after verbalizing the traumatic experience and dealing with it, a person has to choose forgetting or remembering. Mostly, those who have dealt with the traumatic experience, choose to forget the past for the sake of future.

Key words: Post-9/11 Novel, September 11, Traumatic Memories, English Literature, American Literature, Forgetting, Remembering.

მადლობა

2015 წლის შემოდგომაზე მიშელ უელბეკის *მორჩილება* წავიკითხე. ბიძგი, დამეწერა ეს ნაშრომი, მისმა სიტყვებმა მომცა: „ჩემი ნაღვლიანი ახალგაზრდობის წლების კომპანიონი და ერთგული მეგობარი იუისმანსი იყო. მასში ეჭვი არასდროს შემპარვია, არასდროს მიცდია მისი მიტოვება, არც სხვა თემის არჩევა“.

მადლობას ვუხდი ყველა სხვა ადამიანს, ვინც მისმენდა, როცა აღელვებული ვლაპარაკობდი საფრან ფოერზე, დონ დელილოზე, იენ მაკივენზე, ჩამონგრეულ ცათამბჯენებსა და კაცზე, რომელიც ვარდება.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ნინო ფირცხალავას; ნატას, რომელსაც არასდროს დაზარებია ჩემთვის ჩაის მოდულება; და ლ.გ.-ს, რომელმაც ერთხელ მითხრა, რომ ყოველთვის გულის ძახილს უნდა ვუსმინო.